სამაგისტრო ბილეთი ლოგისტიკაში

1. **რა არის ლოგისტიკა?**
   ა. მხოლოდ გადაზიდვის ხელოვნება
   ბ. საქონლის დასაწყობება
   გ. სამეწარმეო საქმიანობა
   დ. მატერიალური ნაკადების დაგეგმვა, მართვა დაკონტროლი
2. **რა ფუნქციები მიეკუთვნება ლოგისტიკას?**
   ა. მარაგები და პროდუქციის ტრანსპორტირება
   ბ. დასაწყობება და სასაწყობო გადამუშავება
   გ. ინფორმაცია, კადრები, წარმოების მომსახურება
   დ. პასუხები: ა, ბ, გ
3. **რამდენ სახედ იყიოფა პროდუქციის მთელი ნომენკლატურა პროდუქციის ხასიათისა და მასზე მოთხოვნის ცვალებადობის ხარისხის მიხედვით?**
   ა. ექსკლუზიური და იშვიათი მოთხოვნის საქონელი
   ბ. მასიური, საშუალო და სპეციალური მოთხოვნის საქონელი
   გ. საშუალო მოთხოვნის, მოთხოვნის დონის ცვლილებებით, მასიური საქონელი სტაბილური მოთხოვნით,სპეციალური საქონელი ერთჯერადი მოთხოვნით
   დ. შიდა და გარე მოთხოვნის საქონელი
4. **ლოგისტიკური მენეჯმენტი მიწოდების პროცესში მოიცავს:**
   ა. საქონლის, მათი მარაგების, სერვისისა და მასთან დაკავშირებული ეფექტური და მწარმოებლური ნაკადების დაგეგმვას, რეალიზაციასა და ცონტროლს;
   ბ. საქონლის, მათი მარაგების, სერვისისა და ნაკადების დაგაგმვას რეალიზაციასა და კონტროლს;
   გ. მაკრო და მიკროლოგისტიკური სისტემებში ნაკადების დაგაგემვას, კოორდინაციასა და ინტეგრაციას;
   დ. ლოგისტიკური სისტემის რგოლების ფუნქციონირების კოორდინაციასა და ინტეგრაციას.
5. **რომელი მაჩვენებელი არის ძირითადი ლოგისტიკის სისტემის ანალიზი**
   ა. ზღვრული დანახარჯები
   ბ. საერთო დანახარჯები
   გ. მუდმივი დანახარჯები
   დ. ცვალებადი დანახარჯები
6. **რომელ ქვესისტემებთან ურთიერთქმედებს ლოგისტიკა?**
   ა. მარკეტინთან
   ბ. წარმოებასთან
   გ. მენეჯმენტთან და სასაწყობო მეურნეობასთან
   დ. პასუხები ა, ბ, გ
7. **რომელ ლოგისტიკურ ფუნქციებს მიეკუთვნება შემდეგ საქმიანობათა სახეები: შესყიდვები, წარმოება, გასაღება და განაწილება:**
   **ა. საბაზისოს;**
   ბ. საკვანძოს;
   გ. მხარდამჭერს;
   დ. შუალედურს.
8. **რა ნიშნებით ხასითდება ლოგისტიკური სისტემის სირთულე:**
   ა.მრავალელემენტიანობა, ქვესისტემის ურთიერქმედების რთული ხასიათი, რთულად ორგანიზებული მართვა, გარემოს ალბათური ფაქტორების დიდი სიუხვე:
   ბ. ურთიერთქმედების რთული ხასიათი, მართვის სირთულე, ფაქტორების დიდი სიუხვე:
   გ. მრავალმიზნიანობა, მართვის მრავალდონიანობა:
   დ. სისტემის მთლიანობა.
9. **რაში გამოიხატება ლოგისტიკის მართვის ამოცანა?**

ა. პროდუქციის წინსვლის სფეროში ამოცანებისა და სტრატეგიის დამუშავების მექანიზმის უზრუნველყოფაში

ბ. მომხმარებელთა სატრანსპორტო მომსახურების დამუშავებაში

გ. შეკვეთის ოპტიმალური სიდიდის დადგენაში

დ. დანახარჯების შემცირებაში

**10. რა არის სამხედრო ლოგისტიკა როგორც მეცნიერება?**

ა. მეცნიერება ჯარების გადაადგილების, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების დაგაგმვისა და მართვის შესახებ

ბ. მეცნიერება საბრძოლო მოქმედებათა მართვის შესახებ

გ. ზურგის საქმიანობის უზრუნველყოფის შესახებ

დ. ჯარების უკანდახევის მართვის შესახებ

**11. რაარისტვირთნაკადი?**

ა. დროისგარკვეულიპერიოდისგანმავლობაშიტვირთისგადაზიდვისშედეგადშესრულებულიანშესასრულებელისატრანსპორტომუშაობა;

ბ. დროისგარკვეულიპერიოდისგანმავლობაშიგადაზიდულიანგადასაზიდიტვირთისრაოდენიბა;

გ. დროისგარკვეულიპერიოდისგანმავლობაშიცალმხრივ (ერთიმიმართულებით. გადაზიდულიანგადასაზიდიტვირთისრაოდენიბა;

დ. საავტომობილოტრანსპორტითცალმხრივ (ერთიმიმართულებით. ტვირთისგადაზიდვისშედეგადშესრულებულიანშესასრულებეისატრანსპორტომუშაობა).

**12. რაარისტვირთბრუნვა?**

ა. დროისგარკვეულიპერიოდისგანმავლობაშიერთიმიმართულებითგადაზიდულიტვირთისრაოდენობა;

ბ. დროისგარკვეულიპერიოდისგანმავლობაშიტვირთისგადაზიდვისშედეგადშესრულებულიანშესასრულებელისატრანსპორტომუშაობა;

გ. დროისგარკვეულიპერიოდისგანმავლობაშიგადაზიდულიანგადასაზიდიტვირთისრაოდენობა;

დ. საავტომობილოტრანსპორტითტვირთისგადაზიდვისშედეგადშესრულებულიანშესასრულებელისატრანსპორტომუშაობა.

**13. რა არის სასაქონლო მარაგის შექმნის მიზანი ?**

ა. წარმოების ზრდა

ბ. სამომხმარებლო ბაზრის ზრდა

გ. მიწოდებისა და მოთხოვნის სინქრონიზაცია

დ. პოლიტიკური და ეკონომიკური რისკების დაზღვევა

**14. რა ელემენტებისაგან შედგება ხარჯები პროდუქციის პარტიის მიწოდებაზე?**

ა. ხელშეკრულების გაფორმებაზე, შეკვეთის განტავსებაზე, გაფორმებაზე, მივლინებაზე, პროდუქციის მიღებაზე

ბ. ხარჯები შეკვეთის განთავსებაზე, ხელშეკრულების დადებაზე, გაფორმებაზე, მივლინებაზე, სატრანსპორტო ხარჯები, სამმართველო, პროდუქტის მიღებასა და დასაწყობებაზე

გ. ხარჯები შეკვეთების განთავსებაზე, ტრანსპორტირებაზე, დასაწყობებაზე

დ. ხარჯები შეკვეთების დამუშავებაზე, დოკუმენტაციის გაფორმებაზე, ტრანსპორტირებაზე, გაფორმებაზე

**15. საერთაშორისო ბაზრებზე შეღწევის ცნობილ მეთოდებს (ვარიანტებს) მიეკუთვნება:**

ა. იმპორტი, გლობალიზაცია, ერთობლივი საწარმოები

ბ. ექსპორტი, ლიცენზირება, ერთობლივი საწარმოები და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

გ. ეკონომიკური ექსპანსია, ბიზნესის ინტერნაციონალიზაცია

დ. ტარიფებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი რეჟიმების უნიფიკაცია

**16. გარე ლოგისტიკური სისტემები აწარმოებენ მატერიალური და მასთან დაკავშირებული ნაკადების მართვასა და ოპტიმიზაციას:**

ა. საწარმოო ტექნოლოგიური ციკლის გარეთ;

ბ. ლოგისტიკური სისტემის შიგა და გარე რგოლებს შორის;

გ. ტემინალურ კომპლექსსა და საწარმოს შორის;

დ. ტერმინალურ კომპლექსებს შორის

**17. რა არის მულტიმოდალური გადაზიდვა ?**

ა. არაგაბარიტული ტვირთის გადაზიდვა

ბ.სახიფათო ტვირთის გადაზიდვა

გ.გადაზიდვა სხვადასხვა სახეობის სატრანსოპორტო საშუალებებით

დ .საზღვაო გადაზიდვა

**18. რა მიზანს ემსახურება ლოგისტიკური საქმიანობის სახეების დაყოფა ფუნქციებად და ოპერაციებად:**

ა. დანახარჯების ჯგუფების გამოყოფისა და სისტემის პროექტირების-სინთეზის (ანალიზის. იზნებს;

ბ. სისტემის ეფექტურობის განსაზღვრის მიზნებს;

გ. იერარქიული სტრუქტურის აგებას;

დ. ლოგისტიკური ქსელის შექმნას.

**19. ჩამოთვალეთ ლოგისტიკური ხარჯების ანალიზის მეთოდები:**

ა. სტრატეგიული ანალიზი, ღირებულებითი ანალიზი, ფუნქციონალურ-ღირებულებითი ანალიზი

ბ. ლოგისტიკური და სატრანსპორტო ანალიზი, აუდიტი, ფასების ანალიზი

გ. სტრატეგიული და ღირებულებითი ანალიზი

დ. სტრატეგიული გეგმის ღირებულებითი ანალიზი, ლოგისტიკური აუდიტი

**20. ჩამოთვალეთ პროდუქციის მარაგების შენახვის ხარჯების ელემენტები:**

ა. ხარჯები ტრანსპორტირებაზე, შეკვეთის შესრულებაზე და მიღება-გაცემაზე

ბ. ხარჯები მარაგების ინვესტიციაში, დაზღვევაზე, სასაწყობო შენახვაზე, პროდუქციის გადამუშავებაზე, მარაგების მორალურ ცვეთაზე

გ. ხარჯები დასაწყობებაზე და ტექნოლოგიურ მოწყობილობებზე

დ. ხარჯები პროდუქციის შენახვაზე და გადამუშავებაზე

**21. რომელი დანახარჯები მიეკუთვნაბა ლოგისტიკური ოპერაციების მართვას?**

ა. დანახარჯები დამატებითი ღირებულების შექმნაზე, ბიზნესის მხარდაჭერაზე

ბ. დანახარჯები პერსონალზე, მოწყობილობებზე, სასაწყობო გადამუშავებაზე და ტრანსპორტირებაზე

გ. დანახარჯები შეკვეთების განვითრებაზე, პროდუქციის მიწოდებაზე, შესყიდვაზე დასაწყობებაზე, შუალედურ ტრანსპორტირებაზე, მზა პროდუქციის შენახვაზე, გადატვირთვაზე, გარე ტრანსპორტირებაზე
დ. დანახარჯები საწარმოო ოპრეაციებსა და გასაღებაზე

**22. რომელი არ არის სატრანსორტო გადაზიდვებში კონტეინერის გამოყენების მიზანი?**

ა. სატრანსპორტო საშუალების მზიდი ფართის ეფექტური გამოყენება

ბ.ტვირთის გადაზიდვის უსაფრთხოების მაღალი ხარისხით უზრუნველყოფა

გ. სატრანსპორტო საშუალების ტვირთამწეობის ზრდა

დ.ტვირთის დატვირთვა-გადმოტვირთვის დროის შემცირება

**23. როგორ იყოფა მართვის დონეების მიხედვით ლოგისტიკაში დასაქმებული პერსონალი:**

ა. უმაღლესი, საშუალო და დაბალი რგოლების სამმართველო პერსონალი;
ბ. ორდღიანი სამმართველო პერსონალი (უმაღლესი და საშუალო.;
გ. უმაღლესი და დაბალი რგოლის ხელმძღვანელი;
დ. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

**24.**რომელიშემდეგთაგანიარარის ტრანსპორტისსექტორის მონაწილე?

ა. ტვირთგამგზავნი
ბ. საგადასახადო სამსახურები
გ. საბაჟობროკერები
დ. გადამზიდავი

**25. ჩამოთვალეთ ინტერმოდალური გადაზიდვის ძირითადი ნიშნები:**

ა. გადაზიდვის ერთი ხელშეკრულება, რამოდენიმე გადამზიდავი, რამოდენიმე ოპერატორი;
ბ. გადაზიდვის ერთი ხელშეკრულება, ტრანსპორტირების სხვადასხვა სახე, ერთაინი დოკუმენტი, გადაზიდვის ერთიანი პასუხისმგებლობა;
გ. რამოდენიმე სახის ტრანსპორტი, რამოდენიმე სატრანსპორტო დოკუმენტი;
დ. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

**26. რა არის „ინკოთერმსი"?**

ა.საქონლის პრაისლისტი

ბ. სატრანსპორტო საშუალების ტექპასპორტირება

გ. გადაზიდვის ნებართვა

დ. ტვირთის საერთაშორისო გადაზიდვის ნორმები

**27. ჩამოაყალიბეთ საზღვაო ტრანსპორტის ძირითადი თავისებურებანი;**

ა. გადაზიდვის დაბალი ღირებულება, დიდი ტვირთამწეობა, შეუზღუდავი გამშვებუნარიანობა, მცირე სიჩქარე, სეზონურობა;
ბ. მაღალი სიჩქარე, მაღალი მწარმოებლურობა;
გ. ფართო გამოყენება ექსპორტულ-იმპორტულ გადაზიდვებში, ტვირთების დაცულობა;
დ. მაღალი გამტანუნარიანობა, დიდი ტვირთამწეობა, მაღალი სიჩქარე.

28. რაში მდგომარეობს სატრანსპორტო ლოგისტიკის ძირითადი ამოცანები:
ა. ყველა სახის ტრანსპორტის ერთობლივი დაგეგმვა;
ბ. სატრანსპორტო პროცესის ერთობლივი დაგეგმვა სასაწყობო და საწარმოო პროცესებთან ერთად;
გ. ტრანსპორტის სახეთა მუშაობის შეთანხმება, ოპტიმალური მარშრუტების განსაზღვრა;
დ. ყველა პასუხი სწორია.

29. რას ემსახურება მარაგები ლოგისტიკურ სისტემაში?
ა. მიმწოდებლის, მწარმოებლისა და მომხმარებელს შორის დამოკიდებულებათა შერბილებას
ბ. კლიენტის მოთხოვნის დაკმაყოფილებას
გ. პროდუქციის წარმოებას
დ. ლოგისტიკური სისტემის ეფექტურად მუშაობას

30. რა ფაქტორები ახდენს გავლენას ლოგისტიკურ სისტემაზე?
ა. სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი
ბ. ტრანსპორტის სტრუქტურის ცვლილება
გ. ფასები საწვავსა და მასალებზე ლოგისტიკური სისტემის ინფრასტრუქტურა
დ. ყველა პასუხი სწორია

31. რომელი შემდეგთაგანი წარმოადგენს შესყიდვების ბიზნესპროცესს?
ა. მიმწოდებლებთან ურთიერთობის მენეჯმენტი

ბ. მარშრუტების დაგეგმარება

გ. დისტრიბუციის მენეჯმენტი

დ. სასაქონლო მარაგების მართვა

32. რითი განსხვავდება მაკროლოგისტიკური სისტემა მიკროლოგისტიკურისაგან ელემენტების თვალსაზრისით?
ა. მაკროლოგისტიკურ სისტემაში მიმწოდებელსა და მყიდველს შორის დამაკავშირებელს წარმოადგენს ტრანსპორტი, ხოლო მიკროლოგისტიკურში შესყიდვისა და გასაღებას შორის წარმოების მართვა.

ბ. მაკროლოგისტიკურში არსებობს საინფორმაციო კავშირები, ხოლო მიკროლოგისტიკურში პირდაპირი კავშირები.

გ. მაკროლოგისტიკურში ნივთიერი კავშირები, მიკროლოგისტიკურში საინფორმაციო კავშირები;

დ. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

33. რაში გამოიხატება ლოგისტიკის ძირითადი მიზანი?
ა. ხარჯების შემცირებაში

ბ. პროდუქციის გადაზიდვაში

გ. პროდუქციის აღრიცხვასა და დამუშავებაში

დ. პროდუქციის მიზიდვა ,,ზუსტად დროში”

34. სისტემის ელემენტებს შორის კავშრები შეიძლება იყოს:

ა. შებრუნებული, ნივთიერი;
ბ. საინფორმაციო, პირდაპირი;
გ. ნივთიერი, საინფორმაციო, პირდაპირი, შებრუნებული;
დ. საინფორმაციო, პირდაპირი, ნივთიერი;

35. ლოგისტიკურისისტემისათვისდამახასიათებელია:

ა. სისტემურობა;
ბ.კომპლექსურობა;
გ. საიმედოობა;
დ.გამძლეობა;

36. ლოგისტიკაში გავრცელებულია მაკროლოგისტიკური სისტემის სამი სახე:

ა. პირდაპირი, შერეული, მოქნილი;
ბ. პირდაპირი, ეშელონირებული, მოქნილი;
გ. პირდაპირი, ადაპტური, მოქნილი;
დ. პირდაპირი, ირიბი, მოქნილი;

37. იტერმოდალური ტრანსპორტი არის შემდეგი სახეობების კომბინაცია

ა. რკინიგზა და საგზაო ტრანსპ.
ბ. რკინიგზა და საზღვაო ტრანსპ.
გ. საგზაო ტრანსპ. და საზღვაო ტრანსპ.
დ. სუყველა ზემოთთაგანი

38. ლოგისტიკური მენეჯმენტის მთავარი ამოცანაა ხელი შეუწყოს:

ა. ფირმის წარმოების მიღწევას;
ბ. ფირმის სტრატეგიული მიზნების შესრულებასა და საკონკურენციო უპირატესობის შექმნას;
გ. საკონკურენციო უპირატესობათა შექმნას;
დ. გაყიდვების მაქსიმალური მოცულობების მიღწევას;

39. რა არის ,,სტელაჟი“?

ა. მრავალიარუსიანი მოწყობილობა პროდუქციის წარმოებისათვის;
ბ.მრავალიარუსიანი მოწყობილობა ტვირთის შენახვისათვის;
გ.მრავალიარუსიანი მოწყობილობა ტვირთის შეფუთვისათვის;
დ.მრავალიარუსიანი მოწყობილობა ტვირთის გადადგილებისათვის;

40. ბიზნესში გამოიყენება შეფუთვის ორი სახე:

ა. სამრეწველო და სამომხმარებლო;
ბ. საწარმოო და გამსაღებელი;
გ. სამომმხმარებლო და გამსაღებელი;
დ. ყველა პასუხი სწორეა;

41. რაში მდგომარეობს საწყობის ეკონომიკური სარგებელი:

ა. საერთო ლოგისტიკური დანახარჯების შემცირებაში;
ბ. საერთო ლოგისტიკური დანახარჯების გაზრდაში;
გ. საერთო ლოგისტიკური დანახარჯების გარმაგებაში;

დ.საერთო ლოგისტიკური დანახარჯების განახევრებაში;

**42. ვინ აზღვევს შესამლო ლოგისტიკურ რისკებს?**

ა. სადაზღვევო კომპანია;

ბ. საბროკერო კომპანია;

გ. სახელმწიფო სტრუქტურები;

დ. ეკონომიკისა და მდგრადი განვითრების სამინისტრო;

**43. საინფორმაციო ნაკადი იზომება:**

ა. დროის ერთეულში;
ბ. ინფორმაციის რაოდენობით;
გ. გადამუშავებული ინფორმაციით;
დ. ყველა პასუხი სწორეა;

**44. რისკი ლოგისტიკურ მენეჯმენტში არის:**

ა. დანაკარგების ზღვარი;

ბ. დანაკარგების შესაძლო ალბათობა;

გ. დანაკარგის სასურველი ალბათობა;

დ. ყველა პასუხი სწორეა;

**45. მაკროლოგისტიკურ გარემოში ფირმების ოპტიმიზაციის კრიტერიუმების სახით გამოიყენება:**

ა. შეკვეთების შესრულების მინიმალური ვადები;
ბ. საწარმოო ციკლის მინიმალური ხანგრძლივობა, მაქსიმალური მწარმოებლობა;
გ. ლოგისტიკური ფუნქციების მაქსიმალური ხანგრძლივობა;
დ. საერთო ლოგისტიკური დანახარჯების მინიმუმი, გაყიდვების მაქსიმალური მოცულობა, ბაზრის მაქსიმალური წილის მოპოვება, ბაზარზე პოზიციების შენარჩუნება;

**46. სატრანსპორტო სისტემა ეწოდება:**

ა. გამგზავნი და მიმღები ტერმინალის: სამიმოსვლო გზებისა და მოძრავი შემადგენლობის ერთობლიობას;
ბ. მოძრავი შემადგენლობის, სამიმოსვლო გზების, სტაციონარული მოწყობილობების, ტრანსპორტირების ტექნოლოგიებისა და მართვის სისტემების ერთობლიობას;
გ. მოძრავი შემადგენლობისა და მართვის სისტემის ერთობლიობას;
დ. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

**47. ჩამოაყალიბეთ საავტომობილო ტრანსპორტის ძირითადი თავისებურებანი:**

ა. ,,კარიდან კარამდე” გადაზიდვის შესაძლებლობა. მაღალი მობილურობა და სიჩქარე;
ბ. ტვირთების მაღალი დაცვის უზრუნველყოფა;
გ. ეკონომიკურობა მცირე მანძილებზე, გამოყენების შეზღუდულობა მცირე მანძილებზე;
დ. ყველა პასუხი სწორია.

**48. საწარმოს ლოგისტიკური სისტემის მართვის ინსტრუმენტებია**

ა. ორგანიზაცია;

ბ. მონიტორინგი და კონრტოლი;

გ. კომლექსური აუდიტი;

დ. პოგნოზირება, დაგეგმვა, მართვა და კონტროლი;

49. **რა არის ფიზიკური განაწილება?**

ა. სხვადასხვა სახის პროდუქციის განაწილება

ბ. მომსახურების გაწევა მომხმარებლისათვის

გ. პროდუქციის მოზიდვა გამყიდველიდან მომხმარებლამდე

დ. ნედლეულისა და მასალების მოზიდვა

50. **ლოგისტიკური სისტემების როგორ რგოლებს იცნობთ?**

ა. წარმომქმნელი, გარდამქმნელი და შთანმთქმელი

ბ. წარმომქმნელი, კონცერვაციის შთანმთქმელი

გ. მარკეტინგული, საინფორმაციო, საბაზრო

დ. ყველა პასუხი სწორია

51. **რომელი ძირითადი ფაქტორები განსაზღვრავს შესყიდვების პროცესების ეფექტურობას:**

ა. პროდუქტების წარმოების და მიმოქცევის სფეროში მოძრაობის ორგანიზაციის ახალიმიმართულება

ბ. ლოგისტიკა არის დათვლის, კალკულაციის პროცესი

გ. ნაკადების სისტემების მართვის სამეცნიერო მიმართულება მატერიალური მარკეტინგის და მომხმარებლების მომსახურება

დ. ნედლეულისა და საქონლის მოძრაობისა და მასთან დაკავშირებული ინფორმაციული ნაკადის ოპტიმალური დაგეგმარება, მართვა და კონტროლი

52 **ვირთების საბაჟო გაფორმება როგორი სახის ლოგისტიკურ მოქმედებებს მიეკუთვნება:**

ა.საბაზისო ლოგისტიკურ ფუნქციებს;

ბ. საკვანძო ლოგისტიკურ ფუნქციებს;

გ. მხარდამჭერ ლოგისტიკურ ფუნქციებს;

დ. ლოგისტიკურ ოპერაციებს.

53. **შიდასაწარმოო ლოგისტიკური სისტემები აწარმოებენ მატერიალური და მასთან დაკავშირებული ნაკადების მართვასა და ოპტიმიზაციას:**

ა.საამქროთა შორის;

ბ.საწყობებსა და საამქროებს შორის;

გ. საწარმოო ტექნოლოგიური ციკლის შიგნით;

დ. შიდა საწარმოო უბნებს შორის.

**54. რომელიარარისლოგისტიკისპროცესიჩამოთვლილიპროცესებიდან ?**

ა. ტრანსპორტირება

ბ. მარაგების მართვა

გ. მარკეტინგი

დ. დისტრიბუცია

**55. მაკროლოგისტიკური სისტემის მიზნებს წარმოადგენს:**

ა.პოლიტიკური, საწარმოო, ფინანსური ამოცანების გადაჭრა;

ბ.სოციალური, ეკონომიური და ეკოლოგიური ამოცანების გადაჭრა;

გ.შიგარეგიონალური დარაიონული სასაქონლო მოძრაობის პრობლემებისგაჭრა;

დ.სასაქონლო მოძრაობის ქსელების შექმნა.

56. **საერთო ლოგისტიკურ დანახარჯებში რომელ შემდეგთაგანს უკავია დომინირებული პოზიცია:**

ა.მარაგების მართვასა და ტრანსპორტირებას;

ბ.ტრანსპორტირებასა და დასაწყობებას;

გ. შესყიდვების პროცედურებსა და მატერიალურ მენეჯმენტს;

დ. გაყიდვის შემდგომ მომსახურებას.

**57. ჩამოთვლილი ოპერაციებიდან რომელი უკავშირდება ფინანსური ნაკადების მართვას:**

ა.დატვირთვა, განტვირთვა, გადატვირთვა;

ბ.ანგარიშსწორებაკლიენტურასთან, დაზღვევა, საკუთრებისუფლების გადაცემა;

გ.ინფორმაციის შეკრება, გადამუშავება გადაცემა;

დ.შეფუთვა და სერვისული მომსახურება.

**58. ლოგისტიკური სისტემის ფუნქციონირების ოპტიმიზაციის კრიტერიუმებს წარმოადგენს:**

ა. საბრუნავი კაპიტალის მაქსიმალური ბრუნვა;

ბ .მარაგების მინიმალური დონე;

გ. პროდუქციის მინიმალური თვითღირებულება და საწარმოო პერიოდის მინიმალური ხანგრძლივობა;

დ. მატერიალური რესურსების ეფექტური გამოყენება.

**59. რას წარმოადგენს ფუნქციონალურ-ლოგისტიკური გარემო:**

ა. ინტეგრირებული მიკროლოგისტიკური სისტემების პროცესების კომპოზიცია თანმხლებ ფინანსურ და საინფორმაციო ნაკადებთან;

ბ. შიდალოგისტიკური სისტემების კომპოზიცია გარე ლოგისტიკურ გარემოსთან;

გ. გაყიდვის შემდგომი მომსახურების ობიექტების კომპოზიცია საქონელგამტარ ქსელებთან;

დ. მეზოლოგისტიკური სისტემები.

**60. ჩამოთვალეთ ტრანსპორტის ძირითადი სახეები:**

ა. პნევმოკონტეინერული, კოსმოსური, ტრანსკონტინენტალური;

ბ. სარკინიგზო, საბაგირო, პნევმოკონტეინერული, მიწისქვეშა;

გ. საავტომობილო, კომბინირებული, პნევმატური;

დ. საავტომობილო, სარკინიგზო, მილსადენის, საჰაერო, საზღვაო, სამდინარო.

**61. სატრანსპორტო სისტემა ეწოდება:**

ა. გამგზავნი და მიმღები ტერმინალის: სამიმოსვლო გზებისა და მოძრავი შემადგენლობის ერთობლიობას;

ბ. მოძრავი შემადგენლობის, სამიმოსვლო გზების, სტაციონარული მოწყობილობების, ტრანსპორტირების ტექნოლოგიებისა და მართვის სისტემების ერთობლიობას;

გ. მოძრავი შემადგენლობისა და მართვის სისტემის ერთობლიობას;

დ. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

**62. ჩამოაყალიბეთ სატრანსპორტო საწარმოთა თავისებურებანი:**

ა. სატრანსპორტო საწარმოების ორმაგი როლი ლოგისტიკური სისტემის ფუნქციონირებაში;

ა. შემავალ მატერიალურ ნაკადებს გარდაქმნის მატერიალურ მომსახურებად;

გ. სატრანსპორტო პროდუქციის დასაწყობება ფუნქციონირებს განუსაზღვრელობის პირობებში;

დ. ყველა პასუხი სწორია.

**63. რა არის განაწილება?**

ა. საქმიანობის სახე, სადაც შედის რეკლამა, პროდუქციის რეალიზაცია, ტრანსპორტირება და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა

ბ. მომსახურების გაწევა

გ. მარკეტინგული გამოკვლევები

დ. პროდუქციის განაწილება

**64. რომელი არ მიეკუთვნება სატვირთო გადაზიდვების პროცესს ?**

ა. ინტერმოდალური

ბ. საავტომობილო

გ. სამოქალაქო

დ. კონტეინერული

**65. რა კრიტერიუმით შეიძლება შეფასდეს ლოგისტიკური სისტემის ეფექტურობა?**

ა. მატერიალური ნაკადის მოცულობით

ბ. სატრანსპორტო საშუალების გარბენით

გ. მოგებით

დ. ზღვრული შემოსავლით

**66. ლოგისტიკის მიზანია:**

ა. შევქმნათ მატერიალური მარაგი

ბ. შევქმნათ სასაწყობო მეურნეობა

გ. პროდუქცია მიტანილ უნდა იქნას მოცემულ დროში საჭირო რაოდენობით და დანახარჯების მოცემული დონით

დ. მარაგების ოპტიმალური სიდიდის განსაზღვრა

**67. რა სახის გადაზიდვა არსებობს?**

ა. პირდაპირი და შუამავლის მეშვეობით

ბ. საწარმოო ხაზიდან

გ. რეგიონალური საწყობიდან

დ. ყველა პასუხი სწორია

**68. რა ძირითადი საზომები აქვს მატერიალურ ნაკადს?**

ა. წონა

ბ. სატრანსპორტო მარშრუტი

გ. სატრანსპორტირების დრო

დ. პასუხები: ა, ბ, გ

**69. როგორი სახისაა მატერიალური ნაკადები ლოგისტიკურ სისტემასთან შედარებით?**

ა. შიდა და გარე

ბ. შემავალი და გამომავალი

გ. საერთაშორისო და საქალაქთაშორისო, შიდასაქალაქო

დ. პასუხები: ა, ბ, გ

**70. რას წარმოადგენს ტრანსპორტირება?**

ა. პროდუქციის გადაადგილება (ტ.კმ.

ბ. ტვირთის მასა (ტ.

გ. ტვირთის მოცულობა მ$^3$

დ. პასუხები ა, ბ, გ

**71. რომელი შემდეგთაგანი არ წარმოადგენს მიწოდების ჯაჭვის პროცესს ?**

ა. შესყიდვების ლოგისტიკა

ბ. დისტრიბუციის მენეჯმენტი

გ. მარაგების მართვა

დ. გაყიდვები

**72. რისი ინტეგრაცია და კოორდინაცია წარმოებს ლოგისტიკური საქმიანობის პროცესში?**

ა. ლოგისტიკური ოპერაციების, პროცედურებისა და ფუნქციების

ბ. პროცედურებისა და ფუნქციების

გ. მატერიალური და მისი თანმხლები ნაკადების

დ. მართვის სუბიექტისა და ობიექტების საქმიანობის

73. **ლოგისტიკური საქმიანობის მიზანს წარმოადგენს:**

ა. ნაკადების მართვის ინტეგრირებული სისტემის შექმნა, გარემო ვითარებისადმი ადაპტაცია, კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა

ბ.  მომხმარებელთა უფლებების სრული დაკმაყოფილება

გ. მოგების მაქსიმიზაცია

დ. მატერიალური ნაკადების კონტროლი

**74. რომელი ძირითადი ტერმინებია საჭირო ლოგისტიკის ფუნქციონირების სფეროების გამოსაყოფად**

ა. ლოგისტიკა, შესყიდვების ლოგისტიკა, მასალების მენეჯმენტი, ფიზიკური განაწილება, მიწოდების ჯაჭვების მართვა

ბ. ლოგისტიკა, დასაწყობებისა და სატრანსპორტო ლოგისტიკა

გ. მარკეტინგი, მენეჯმენტი საინფორმაციო ლოგისტიკა, საერთაშორისო ლოგისტიკა

დ. ყველა პასუხი სწორია

**75. ლოგისტიკური საქმიანობის რომელი სახეები მიეკუთვნება ორგანიზაციულ მართვას?**

ა. მომარაგების, შეკვეთების წარმოების, მატერიალური ნაკადების წინსვლისა და გასაღების უზრუნველყოფა

ბ. მომარაგებისა და ფიზიკური განაწილების მართვა

გ. მომარაგებისა და საქონლის წინსვლის უზრუნველყოფა

დ. პასუხები: გ და დ

**76. ფუნქციონირების რომელ სფეროებს აერთიანებს ლოგისტიკა?**

ა. შესყიდვების, საწარმოო, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, მარკეტინგის, სატრანსპორტო, მარაგების, საინფორმაციო, სასაწყობო და ეკონომიკური ლოგისტიკა

ბ. მომარაგების, შესყიდვების, საწარმოო, გასაღებისა და განაწილების

გ. საწარმოო, სამხედრო და საინფორმაციო ლოგისტიკას

დ. ყველა პასუხი სწორია

**77. რა სახის კომპონენტებისაგან შედგება მატერიელური ნაკადი?**

ა. ნედლეული, მასალები, ნახევარფაბრიკატები, დაუმთავრებელი და მზა პროდუქცია, მეორადი რესურსები ტარა და შეფუთვა

ბ. ნედლეული, მასალები, მზა პროდუქცია

გ. ნედლეული ტარა და შეფუთვა, მეორადი რესურსები

დ. ყველა პასუხი სწორია

**78. რა ნიშნებით ხასიათდება მზა პროდუქცია?**

ა. სრული ტექნოლოგიური ციკლი, ტექნიკური კონტროლი, სრული კომპლექტაცია, საწყობში შენახვა, გადატვირთვისათვის მზადყოფნა

ბ. სრული ტექნოლოგიური ციკლი, ბაზრის კონიუნქტურასთან შესაბამისობა

გ. სრული კომპლექტაცია, გადატვირთვისათვის მზადყოფნა

დ. პასუხები ბ და გ

**79. რისგან შედგება საერთო ლოგისტიკური დანახარჯები?**

ა. დანახარჯები კომპლექსურ და დამხმარე ლოგისტიკურ ფუნქციებზე, მარაგებზე, ზარალით არასრულყოფილ მენეჯმენტზე, ლოგისტიკურ ადმინისტრირებაზე

ბ. დანახარჯები მარაგების მართვასა და ტრანსპორტირებაზე

გ. დანახარჯები საბაზრო ოპერაციებზე და ლოგისტიკურ ადმინისტრირებაზე

დ. პასუხები ა, ბ, გ

**80. რომელი ემდეგთაგანი წარმოადგენს განაწილების ლოგისტიკური არხების მონაწილეებს?**

ა. მიმწოდებლები, გადამზიდავები, სამრეწველო საწარმოები გამანაწილებელი ცენტრები, ტერმინალური კომპლექსები, შუამავლები, მომხმარებლები

ბ. მიმწოდებლები,შუამავლები, მომხმარებლები

გ. მარკეტინგული და საშუამავლო ფირმები, სატრანსპორტო ფირმები

დ. ყველა პასუხი სწორია

**81. ჩამოთვალეთ ლოგისტიკური სისტემის ელემენტები**

ა. სადისტრიბუცუი ცენტრები, სასაწყობო მეურნეობები, ინტერმოდალური ტერმინალები, ლოგისტიკური საინფორმაციო სისტემები

ბ. ლოგისტიკური ოპერაციები და ფუნქციები, ლოგისტიკური ჯაჭვები, ლოგისტიკური მომსახურეობა

გ. ლოგისტიკის ორგანიზაციული სტრუქტურა, მარკეტინგული სტრუქტურები, ლოგისტიკის მენეჯმენტი

დ. პასუხები ბ და გ

**82. რომელი შემდეგთაგანი არ არის სადისტრიბუციო ცენტრის ოპტიმალური ადგილმდებარეობის განმსაზღვრელი ფაქტორი?**

ა. სიახლოვე სამომხმარებლო ბაზართან

ბ. ინტეგრირებული სატრანსპორტო ქსელთან

გ. სიახლოვე სამთავრობო დაწესებულებებთან

დ. სიახლოვე საწარმოო ობიექტებთან

**83. მართვის სტრუქტურა შეიძლება იყოს:**

ა. ჰორიზონტალური;

ბ. ხაზობრივი;

გ. მრუდი;

დ. პარაბოლა.

გ. სტუდენტური;

დ. სამომხმარებლო.

**84. მართვის მეთოდი შეიძლება იყოს:**

ა. პირდაპირი;

ბ. ირიბი;

გ. ადმინისტრაციული;

დ. ჭრელი.

**85. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები შეიძლება იყოს:**

ა. დისკრეტული;

ბ. დიფერენცირებული;

გ. საგადასახადო;

დ. მაშტაბური.

**86. ექსპორტ-იმპორტის სალდო მიუთითებს:**

ა. იმპორტის მეტობას ექსპორტზე;

ბ. ექსპორტ-იმპორტის სხვაობას;

გ. ექსპორტის მეტობას იმპორტზე;

დ. იმპორტის მოცულობას.

**87. რაარის სატვირთო გადაზიდვა ?**

ა.სატრანსპორტო პროცესისსრული ციკლი, რომელიც შედგება მოძრავი შემადგენლობის დატვირთვისაგან, ტვირთის გადაზიდვისაგან, განტვირთვისაგან და მოძრავი შემადგენლობის მიწოდებისაგან და სატვირთად;

ბ. დროის გარკვეულ პერიოდში ერთი მიმართულებით გადაზიდული ან გადასაზიდი ტვირთის რაოდენობა;

გ. დროის გარკვეულ პერიოდში გადაზიდული ან გადასაზიდი ტვირთის რაოდენობა;

დ. დროის გარკვეულ პერიოდში შესრულებული ან შესასრულებელი სატრანსპორტო მუშაობა.

**88. რას გულისხმობს ჯაჭვის „მომარაგება-წარმოება-გასაღების" აგება მარკეტინგის თამამედროვე კონცეფციის საფუძველზე:**

ა. დასაწყისში გასაღების სტრატეგიის, შემდეგ მშენებლობის განვითარებისა და წარმოების მომარაგების სტრატეგიის დამუშავებას

ბ. დასაწყისში წარმოების, ხოლო შემდეგ გასაღებისა და მარკეტინგის სტრატეგიის დამუშავებას

გ. ჯერ გლობალურ ბაზრებზე გასვლისა, ხოლო შემდეგ წარმოების სტრატეგიის დამუშავებას

დ. ყველა პასუხი სწორია

**89. რა როლს ასრულებს ლოგისტიკა მარკეტინგული კონცეფციის რეალიზებაში**

ა. წარმოადგენს მარკეტინგული კონცეფციისა და მისი რეალიზაციის საფუძველს

ბ. ლოგისტიკა ავითრებს სამეწარმეო საქმიანობისადმი ლოგისტიკურ მიდგომას, იმუშავებს მარკეტინგული კონცეფციის რეალიზაციის მეთოდებსა და აფართოებს და ამატებს თვით კონცეფციას

გ. აკავშირებს ერთმანეთთან საწარმოებს, მარკეტინგულ მიდგომებსა და რეალიზაციას უკეთებს ბაზარზე გასვლის სტრატეგიებს

დ. გეგმავს მატერიალური ნაკადების მოძრაობის სტრატეგიებს

**90. როგორ განიხილება განაწილების საზღვრები ლოგისტიკაში?**

ა. პროდუქციის დასაწყობება, ტრანსპორტირება, შენახვა და რეალიზაცია

ბ. პროდუქციის დაფასოება, შეფუთვა, ტრანსპორტირება და დასაწყობება

გ. პროდუქციის შეფუთვა, ექსპედირება, გასაღებისა და ტრანსპორტირების მართვა

დ. პროდუქციის წარმოება, რანსპორტირება და შენახვა

**91. ჩამოთვალეთ განაწილების ფუნქციები ლოგისტიკაში:**

ა. მარაგების ფორმირება და განთავსება; სამეურნეო კავშირების დამყარება, მომსახურების გაწევა სასაქონლო მოძრაობის რაციონალური ფორმების შერჩევა

ბ. მარაგების მართვა, სამეურნეო კავშირების ოპტიმიზაცია, რაციონალური მარშრუტების დაგეგმვა და ოპტიმიზაცია

გ. მარაგების მართვა, შეფუთვები, დასაწყობება, ფასწარმოქმნა

დ. ყველა პასუხი სწორია

**92. ჩამოთვალეთ მატერიალური ნაკადის წყაროები:**

ა. საბითუმო ფასები, ტერმინალები, გასაღების ბაზრები

ბ. ნედლეულის ბაზარი, ლოგისტიკური კომპანია, სადისტრიბუციო ცენტრი

გ. ბროკერული საწარმო, სავაჭრო შუამავალი, გამანაწილებელი ცენტრი

დ. შახტა, კარიერი, ქარხანა, გამანაწილებელი ცენტრი

**93. ჩამოთვალეთ პირველადი ლოგისტიკური არხის მონაწილენი:**
ა. ბითუმად და ნახევრად ბითუმად მოვაჭრეები, მწარმოებლები, მომხმარებლები

ბ. გადამზიდავები, ექსპედიტორები, აგენტები

გ. მწარმოებლები,დისტრიბუტორები, გადამზიდავები

დ. ყველა პასუხი სწორია

**94. რა მდგენელებისა და ელემენტებისაგან შედგება ლოგისტიკური ხარჯები?**
ა. ხარჯები ლოგისტიკური ოპერაციების მართვაზე, მოწყობილობაზე, სათავსოზე, სასაწყობო მარაგებზე, მონაცემების გადაცემაზე

ბ. ხარჯები შეკვეთების მართვაზე შუალედურ ტრანსპორტირებაზე, ინფორმაციის გადაცემაზე

გ. დანახარჯები მომარაგებაზე, შიდასაქარხნო ტრანსპორტირებაზე, მონაცემების გადაცემაზე

დ. დანახარჯები ტრანსპორტირებაზე, დასაწყობებაზე, საინფორმაციო უზრუნველყოფაზე

**95. რა შემთხვევაში მიეკუთვნება სასაწყობო ხარჯები საწარმოო ხარჯებს?**
ა. როდესაც წარმოების პროცესი გრძელდება მიმოქცევის სფეროში

ბ. როდესაც საწყობში ინახება პროდუქციის მიმდინარე და სადაზღვევო მარაგი

გ. როდესაც საწყობი და სააქროები მოთავსებულია ერთ კორპუსში

დ. როდესაც საწყობში ინახება ლოგისტიკური პროცესის უწყვეტობის უზრუნველყოფისათვის აუცილებელი მარაგების ნორმატიული მოცულობები

**96. რა ფუნქციებს ასრულებს მომარაგების სამსახური მატერიალური ნაკადების მართვაში?**
ა. მატერიალური რესურსების შესყიდვა, ტრანსპორტირება და დროებითი შენახვა

ბ. პროდუქციის შესყიდვა, ტრანსპორტირება და გადამუშავება

გ. პროდუქციის შესყიდვა, დახარისხება და შენახვა

დ. შესყიდვა, შენახვა და გადამუშავება

**97. რა მეთოდები გამოიყენება პოტენციური მომწოდებლების ძიების დროს?**
ა. ანკეტირება და მარკეტინგული გამოკვლევების ჩატარება

ბ. კონკურსების, გამოკითხვებისა და მარკეტინგული გამოკვლევების ჩატარება, კონტაქტების ჩამოყალიბება

გ. კონკურსის გამოცხადება, სარეკლამო მუშაობა, გამოფენისა და ბაზრობების დათვალიერება, წერილობითი და პირადი კონტაქტები

დ. მომწოდებლების სიის ფორმირება კომპლექსური გამოკვლევებით

**98. რა ეტაპებისაგან შედგება მიმწოდებელთა შესარჩევი ამოცანა?**
ა. მომწოდებლების კომპლექსური შესწავლა და შეფასება, ლოგისტიკური სისტემის შეფასება და კონტროლი მათ საქმიანობაზე

ბ. მომწოდებლების ადგილმდებარეობის შერჩევა, მათი მიწოდების ხარისხის შეფასება და გრძელვადიანი კონტრაქტების ფორმირება

გ. მარკეტინგული გამოკვლევები, მათი დაგეგმვა და ამოცანების რეალიზაცია

დ. პოტენციური მომწოდებლების პოტენციური სიის შედგენა, მათი ანალიზი და მათი მუშაობის შეფასება

**99. ჩამოთვალეთ მომარაგების ხარჯების ძირითადი ელემენტები:**

ა. ხარჯები შესყიდვებზე, შეფერხებები (დანაკარგები დეფიციტისაგან), მეთვალყურეობაზე, გადატვირთვებზე, დაკარგული კლიენტები, ჯარიმები, პერსონალის მოცდენა, ზეგანაკვეთური საათების ანაზღაურება, დანაკარგები

ბ. ხარჯები შესყიდვებზე, დანაკარგების დეფიციტი, პერსონალისა და ტრანსპორტის მოცდენა

გ. დანაკარგები დეფიციტისაგან, ხარჯები მარაგების შევსებაზე, ტრანსპორტირების ხარჯები

დ. ხარჯები მიწოდებების მართვაზე, ტრანსპორტირებაზე, მარაგების მართვაზე

**100. რა ძირითადი ელემენტებისაგან შედგება პროდუქციის გაგზავნის ხარჯები?**

ა. ხარჯები დატვირთვა განტვირთვაზე, გადატვირთვაზე და მომსაზურებაზე

ბ. ხარჯები სატრანსპორტო საშუალებებზე, ტვირთების გადამისამართებაზე, მოსაკრებლები; გარე ორგანიზაციის ხარჯები, დატვირთვა-განტვირთვის სამუშაოებსა და მომსახურებათა ხარჯები

გ. დანახარჯების ჯამი ტვირთგამგზავნებთან

დ. დატვირთვის, ტრანსპორტირებისა და განტვირთვის ხარჯები

## ლიტერატურა


1. ვ. ბოცვაძე, ო. გელაშვილი, მ. მებურიშვილი. საერთაშორისო სატრანსპორტო ლოგისტიკის მართვა. სახელმძღვანელო. საგამომცემლო სახლი ,,ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, 2007. 170 გვ.უაკ 656(075.8), 656.(02).

2. ლ. ბოცვაძე, კ.ერაძე, ო. გელაშვილი, ვ.ბოცვაძე. მიწოდებათა ჯაჭვების მენეჯმენტი და სტრატეგიები. სახელმძღვანელო, საქართველოს ბიზნესის აკადემია, გამომცემლობა „დიზაინ პრინტექსპრესი,"თბილისი, 2013, 885 გვ. უაკ.658.7(075.8) CD#542

3. ლ. ბოცვაძე, ო. გელაშვილი, მ. მებურიშვილი, ი. ჩხეტია. საერთაშორისო სატრანსპორტო-საექსპედიციო მომსახურება. სახელმძღვანელო. საგამომცემლო სახლი ,,ტექნიკური უნივერსიტეტი", თბ., 2008. 512 გვ. უაკ 338.467.4.629, 656.13(02)

4. Gerard Cachon, Christian Terwiesch Matching Supply with Demand , An Inroduction to Operations Management ; Published by McGraw-Hi l l / Irwin, a business unit of The McGraw-Hill Companies, Inc., 1221 A venue of the Americas, New Y ork, NY ,Copyright © 2009.

5. Транспортная логистика: Учебник для транспортных вузов /Под общей редакцией Л.Б.Миротина.- М.: Издательство »Экзамен»,2003-512с. CD № 2050